10537/3-87/21 2 19102021

10537/3-87/21
19-10-2021

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- 2021 წლის 19 ოქტომბრის მონაცემებით, ქვეყნის სრულად ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში რამდენ სოფელში მიიღეს აღნიშნული მომსახურება?
- 2022 წლის ბიუჯეტში ამავე პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხის მიხედვით, რამდენი სოფელი ჩაერთვება და რამდენი სოფელი დარჩება ინტერნეტის მიწოდების სერვისის მიღმა საქართველოში?

ბატონო ირაკლი გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3710-01-2-202110280936

N 01/3710
28/10/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხათუნა სამნიძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 19 ოქტომბრის №10537/3-87/21 განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის №6263/01; 19.10.2021), რომლის პასუხად, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ სოფლებში ინტერნეტიზაციის საკითხი არ წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას, შესაბამისად მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ამასთან, საქართველოში ინტერნეტიზაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის პირველი მოადგილე - მ.შ.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722